საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი, ივლისის 19 1921 წ.

№ 114

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი: ლამფ.უძნებელი კრების ქ. № 6 ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე"
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

## მონაპოვარი და დაპირებანი

რევოლიუციის პირველ დღიდანვე, მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა სიტყვამ: „რევოლიუციის მონაპოვარმა". პირველ ხანებში ეს სიტყვა ძვირფასი იყო. მას ჰქონდა შინაგანი ძალა, რომელიც მასიურ ნების-ყოფას ამტკიცებდა, ბრძოლის უნარს აღვივებდა. ეს სახელი ერთგვარი ხელშეუხებელი მოვლენაც იყო. ძველი „რეჟიმის ეტლი რევოლიუციის ღრანტეებში დაიმსხვრა, სახელმწიფოს ძველი კარიტიდები ამბოხების დინამიტმა დალეწა. და ამ ნანგრევებზე კი ალიმართა ახალი ლეგიონი, რომელმაც შეუნახველი ენერგიით იწყო ახალი ცხოვრების აგება. გატაცების პირველ ხანებში, რევოლიუციის პარადით შექმნილ ხალისიანობაში, თითქოს ყველაფერი ახალ ფორმით შეიქმნა, შინაარსიც ახალი ედებოდა, ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს ის ფრთა აშვებული ოპტიმიზმი, რომელიც სიბოროტის აჩრდილსაც კი გვაშორებდი, და წითელ დროშებს შევსცქეროდით უფრო მეტი მორწმუნეობით, ვიდრე ისრაელი მოსეს კვერთხს. მაგრამ შემდეგ, როდესაც დღესასწაულის ბრუ განელდა და მის ადგილი დაიჭირა ყოველ-დღიურმა საქმიანობამ, აღმოჩნდა, რომ რევოლიუციის მესვეურნიც კი არ ყოფილან საკმარისად მომზადებულნი ამ ახალი და მძიმე საქმისათვის. თვალსაჩინო გახდა, რომ შემოქმედთა შინაგანი ბუნება დატვირთული ყოფილა ძველი ტრადიციებით, ძველი სულით, ძველი მანერებით. შეიცვალა მხოლოდ პოზიცია. თვალთა-ხედვა კი ჩვეულებრივი დარჩა. ახალი ხალხი დაენაცვლა ძველებს, მაგრამ იგივე მეთოდება, იგივე მანერა აამუშავეს. შედეგად კი მეტ წილად მივიღეთ ძველი სურათები, მხოლოდ ახალ ფერით შეღებილი. ძველი ბიუროკრატიზმი, მხოლოდ მწვანე მაუდით კი არა, წითელით; ძველი იმპერიალიზმი, მხოლოდ ორ-თავიან არწივის კი არა, რევოლიუციის სიმბოლოს ქვეშ წარმოებული; ძველი შინა-პოლიტიკის მეთოდები, მხოლოდ სტოლიპინის სახელით კი არა, სოციალისტების რახიანი დეკლარაციებით. რა მოხდა? ყველა ამას ხალხი უცქეროდა, განიცდიდა, საკუთარ ზურგით ეზიდებოდა ამ წითელ სიმძიმეს, ძველი წონისა და ოდენობისას. გაჰქრა თან-და-თანობით ის პირველი აღფრთოვანება, მაღლა ამაყად აწეული მასის თავი ძირს დაიხარა, და „რევოლიუციის მონაპოვარს", ამ ერთ-დროს ლამაზ სიტყვას ხალხმა ირონიის გერბი მიაკრა. ხალხი თან-და-თანობით ჰკარგავდა ამ „მონაპოვარის" ახალ ფორმებს, ვეღარ განიცდიდა მის ახალ შინაარს, რასაც შედეგად მოჰყვა მასიური გულ-გრილობა და ძცრუება. ვინ არის დამნაშავე? ხალხი? რასაკვირველია არა. დამნაშავენი არიან რევოლიუციის ხელმძღვანელები, რომელნიც ახალ სიტყვებით, მარსელიოზის სიმღერით და წითელ დროშით გაჰყვნენ ძველ თელილ შარა გზას, და თან დათანობით დაგვაახლოვეს იმ წყობილებას, რომელსაც გავექეცით და აუჯანყდით. ეს ბოროტება იყო. ეს იყო დიდი დანაშაული, რაც უსათუოდ ფორმულიარში ჩაეწერებათ რევოლიუციის მემანქანეებს.

მეორე დიდი ბოროტება იყო მთავრობათა დაპირებანი. 1917 წლიდან მოყოლებული, ყველა სახის მთავრობა და ყველა პოლიტიკური პარტიები ამ დიდი დაპირებებით შეესივნენ ხალხს ვინ რას ჰპირდებოდა იმ ანგარიშით, რომ რაც შეიძლება მეტი მიმდევრები და ზურგის გამმტკიცებელნი გაეჩინა. ხალხიც ჯერ ერთს გაჰყვა, შემდეგ მეორეს, მესამეს და ასე მოვედით იმ ხაზამდე, რომლის იქით აღარა სჩანს ახალი ძალა, გარდა ძველის აჩრდილისა, რომელიც ცოცხლად აღარ არსებობს, მაგრამ რადაც მაგიურად თავისკენ იტაცებს ხალხის ფიქრს და ოცნებას. ეს დიდი ბოროტება რევოლიუციის წინმსვლელობის თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, სიმართლე აშკარად უნდა ითქვას.

ხალხი მეტად რთული და მეტად გამოუცნობი სოციალური კატეგორია არის. იგი თითქმის სადაა და მეამიტი, მაგრამ პირველ შემთხვევისთანავე გიჩვენებთ თქვენი წარმოდგენის ცალმხრივობას, ზერელობას და უნიადაგობას. პირველ შეხედვით იგი თითქმის მოგენდობა, მაგრამ ამ მონდობით ის ყოველად უნდოა და სასტიკი. პირველ შეხედვით ხალხის მოტყუებაც კი შეიძლება თითქოს, რადგან არ ჰყოფნის ინტელექტუალური შორსმჭვრეტელობა, მაგრამ თუ ღრმად ჩახედეთ, მაინც არ ტყუვდება, რადგან მას შველის წმინდა ცხოველური ალღო, რომელიც საზოგადოდ ადამიანშიც ჯერ არ გადაშენებულა. და როცა ჩვენ გვგონია, რომ ხალხი დავარწმუნეთ, გავიყოლიეთო იქ იგი თვით დაგვცინის და გულში გვეუბნება: ჯერ დამიმტკიცეთო. და ხალხი, თავის ფარულ სტიქიაში, აი უკვე მეოთხე წელიწადია რაც ურწმუნო თომასავის ფაქტებსა გვთხოვს, რაც დაპირებულ „სასწაულთა" ახდენას ელის. ამ ლოდინში იგი დაიქანცა, და იმის მაგიერ, რომ ამ მხრივ ძირიანად შეიცვალოს მთ ლი სახელმწიფო მუშაობის შენობის მეთოდები, ქვლავ გრძელდება ამ ნაცად და უვარგის გზით სიარული. აი თუნდა ჩვენი სინამდვილე. კომუნისტებმა საქართველოში გაბატონების პირველ დღიდანვე საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, რომ სახელმწიფო ენა ქართულია და სხ... და სხ... დაპირებანი ბევრი იყო და ხალხი თუმცა მეამიტად არ გადაეშვა რწმენის ზღვაში, მაგრამ მაინც ერთგვარ შთაგონების ზმანებაში გაეხვია, და დაეჭვებით შეხვდა თავის ურწმუნოებასაც და ახალ ძალის დაპირებასაც. რა მივიღეთ? ძველი, ნაცნობი შედეგი, ე. ი. დაპირებათა აუსრულებლობა. დღეს შეიძლება ასე თუ ისე დასამტკიცებლად შთამბეჭდილებისათვის, წუთიერ ეფექტისათვის, რომ დაპირება შესრულებულია, მაგრამ დარწმუნებისათვის ნამდვილი საბუთების თავისი არ მოყრა გაძნელდება: ბევრი დაწესებულებიდან განდევნილია ქართული ენა, ბევრი დაწესებულება პირდაპირ უცხო, გუშინ მოსულ უცნობ ელემენტების ხელშია ჩავარდნილი, საქართველოში ქართული კოლორიტი იკარგება, და საქართველოს დედა-ქალაქში ქართველი მოქალაქე თავს უფრო შებორკილად და უუფლებოდ გრძნობს, ვიდრე რუსეთის რომელიმე ქალაქში. ქართული ხელოვნება აღარა სჩანს, რუსული კი პირდაპირ ქუჩაშია გამოჭრილი და პლაკატების სახით ჰკივის. ქართული პიესა თუ ოპერა უფრო სასტიკ ცენზურას განიცდის, ვიდრე რუსული, და სხ... აურაცხელ მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება. მაგალითების ჩამოთვლა კი არა, მთელი ჩვენი სინამდვილე ერთი დიდი მაგალითია იმ დიდი რუსული პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენში ანხორციელებენ რუსეთიდან მრავლად შემოჭრილი რუსულ პოლიტიკისა თუ კულტურის აგენტები. ეჭვს გარეშეა, რომ მოცემულ დაპირებებს არ ეგუება ის პრაქტიკა, რომელსაც ახალ ახალ სიურპრიზებით იძლევა ყოველი დღე, რაც აუცილებლად ქართულ მასას დააშორებს იმ საქმეს, რომელიც ამ ახალ ძალას აინტერესებს და ამოძრავებს კომუნიზმის იდეა კომუნისტების შემოსვლამდე კი არა, გაცილებით ადრე შეითვისა და შეიყვარა საქართველოს მშრომელმა ხალხმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ხალხი გაჰყვეს ყველას, ვინც კი ამ სახელით მივა მასთან. ქართველი ხალხისთვის კომუნიზმზე მეტად განცდილი და მეტად ნატანჯი იდეა არის ეროვნული განთავისუფლება, და როდესაც კომუნიზმი ამ ეროვნულ აღდგენის ძალად მოევლინება, ქართველი მშრომელი ხალხი, როგორც ერთი კაცი დასდგება კომუნიზმის დროშის დასაცავად. მაგრამ ჩვენში კომუნიზმი სულ სხვა დაპირებებით შემოვიდა, და სულ სხვა საქმებით კი არის გართული. იგი ანგარიშს არ უწევს იმ ფსიხოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც არსებობს ჩვენში, და რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი ძალა. და თუ ამის შესახებ რაიმე ითქვა ან დაიწერა, შოვინიზმის სახელს არქმევენ. საკითხის ასე შებრუნებით რომ გაკეთდებოდეს რამე, კიდევ ჰო, მაგრამ ამის იმედი ნაკლებად ექნება. საქართველო არც ისე ჩამორჩენილი ქვეყანაა, როგორც ეს რუსი გენერლების და ჩინოვნიკების დამპალ ფანტაზიას ეჩვენებოდა, რომელთა წარმოდგენით უსწავლელი იყო ის, ვინც რუსულად არ ლაპარაკობდა. საქართველოს მოქალაქე, თუნდა სულ ყრუ კუთხის მიწის მუშა თუ მეცხვარე მაინც იმდენად არის დაბრძენებული, რომ „ვერ მოაწონებთ ვაქკაცსა, რაც არ უჯდება ჰკვაშია". და ამ შემთხვევაში ვერ მოაწონებთ იმ გარუსების პოლიტიკას, რომელმაც აი ამ ოთხი თვის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკას უკვე დაუკარგა ეროვნული ელფერი. ამაოდ უწოდებთ ამ ჩვენს მოთხოვნილებას შოვინიზმს. რაღა ის არის შოვინიზმი, რომ საქართველოში ქართული ენა გავაბატონო, და არა ის, რომ საქართველოში რუსული ენა გაბატონონ. მე მგონია რომ მეორე შემთხვევა ჟარგესიცაა გაცილებით. როგორია დასკვნა? საერთოდ ხალხმა, და ამ შემთხვევაში ქართველმა ხალხმა, რევოლიუციის პირველ დღიდანვე ბევრი დაპირება მოისმინა და განაღდება ნაკლები ნახა. ამის მიზეზით ხალხმა სასოება დაჰკარგა და მის გულში ურწმუნოებამ და გულ-გრილობამ დაიბუდა. თუ კომუნისტებს სურთ ჩვენ ქვეყანაში რევოლიუციის სამსახური, დიდი ანგარიში უნდა გაუწიონ იმ თუ გნებავთ რევოლიუციის ერთად ერთ მონაპოვარს, რომელიც ღრმად შეიყვარა ქართველმა ხალხმა, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობას, და განახორციელონ ყველა ის დაპირებანი, რომელნიც ამ მონაპოვარს შეეხებოდნენ.

ეს არის ერთად ერთი გზა, რომელიც ხალხთან მიდის, სხვა გზა ვერც იარსებებს.

საქართველოს მშრომელი ხალხი აიტანს სიმშილს, სიცივეს, შავ ჭირს; თვით სიკვდილის წინაშეც კი არ შედრკება, მაგრამ თავის ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას კი არ დასთმობს არასოდეს.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## იმავე თემაზე

ქართველმა ინტელიგენციამ უთუოდ დიდის ყურადღებით და ინტერესით წაიკითხა გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი-მეთაური: „ინტელიგენცია და სპეცები" (კომ. № 106).

წერილი იძლევა გარკვეულ პასუხს იმაზე, თუ როგორ უყურებს, როგორია კომუნისტური პარტიის და მთავრობის დამოკიდებულება ქართველი ინტელიგენციისადმი.

რას წარმოადგენს ინტელიგენცია, რომელ სოციალურ კატეგორიას ეკუთვნის ის, როგორია მისი როლი—აი ის საკითხები, რომელთა გარშემო დიდი დავა სწარმოებდა განსაკუთრებით რუსულ პუბლიცისტურ ლიტერატურაში, იმ ხანებში საკითხს ინტელიგენციის შესახებ ჰქონდა უპირველეს ყოვლისა თეორიული ხასიათი. დღეს მდგომარეობა მეტად შეიცვალა. დღეს ამ საკითხს აქვს უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა. სწორედ ამ მხრით შევეხეთ ჩვენ ამ საკითხს ჩვენს ერთ-ერთ წერილში, სადაც ჩვენ აღვნიშნეთ სამი პირობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ჩვენმა ინტელიგენციამ შეასრულოს ის დიადი მოვალეობა, რომელსაც მას აკისრებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობა. ერთ ასეთ აუცილებელ პირობათ ჩვენ წამოვაყენეთ სრული ნდობა ქართველი ინტელიგენციისადმი. გაზეთი „კომუნისტი" სწორედ ამაზე იძლევა პასუხს, მაგრამ ვიდრე ამ პასუხს შევეხებოდეთ, საჭიროა მოვისმინოთ „კომუნისტის" ზოგიერთი დებულებანი.

„კომუნისტის" დედა აზრი ასეთი არის: ერთია ინტელიგენტი, მეორეა „სპეცი". სპეცი მეტად საჭიროა, უმისოდ საბჭოთა აღმშენებლობა წინ ვერ წავა. ამიტომ ზავი და ნდობა სპეცებს, უნდობლობა და ომი ინტელიგენციას. ასეთია პატივცემული გაზეთის შეხედულება. როგორ მიდის ის ამ დასკვნამდი, როგორია ამ დედა აზრის დასაბუთება?!

გაზეთი „კომუნისტი" საკითხს შორიდან უვლის. ის უბრუნდება ძველ საკითხებს და სურს გამოარკვიოს „თუ რა არის ეს ინტელიგენცია საზოგადოთ, ისტორიულად და ვინ არის კერძოთ ჩვენი „ინტელიგენცია" გაზეთის განმარტებით ის ინტელიგენცია, რომელიც დღემდის ქვეყნის მარილად ითვლებოდა ყოფილა „გაბატონებული კლასების ზედაპირი, სხვა ჯგუფებზე უფრო გაწვრთნილი მომზადებული ბატონობისათვის". შემდეგ გაჩენილა „პროლეტარული", „დემოკრატიული" ინტელიგენცია, ბოლოს სამოქმედო ასპარეზზე გამოსულან „სპეცები".

აქედან ცხადია, პატივცემულ გაზეთს სრულებით არა აქვს იმაზე წარმოდგენა თუ რა არის ინტელიგენცია ან უკეთ რომ ვსთქვათ ინტელიგენცია მას ესმის ობივატელურად: ეს არის დიპლომიანი სკოლაში სწავლა-განათლება მიღებული ხალხის კრებული. ყოველ კლასს ყავს თავისი ინტელიგენცია, იმეორებს გაზეთი ძველ მარქსისტულ შაბლონს; მაგრამ თუ ყოველ კლასს ჰყავს თავისი ინტელიგენცია, თუ ინტელიგენცია ისევე მიჯაჭვული თავის კლასზე, როგორც მაგალითად ჩვეულებრივი კომუნისტ-პროპაგანდისტი ამა თუ იმ რაიონზე, თუ ინტელიგენციის არც ერთი ნაწილი წოდებათა და კლასების გარეშე არა დგას მაშინ შეუძლებელი და ზედმეტიც არის იმის გამორკვევა თუ რას წარმოადგენს ინტელიგენცია „საზოგადოთ".

„კომუნისტის" კონცეპციით ინტელიგენცია ისტორიულად იყო გაბატონებული წრე. ის იყო უზრუნველჰყოფილი კლასის ზედაპირი, რომელიც ყველაზე უფრო იყო ბატონობისათვის მომზადებული და კიდევაც ბატონობდა. ეს აზრი ისტორიულად სავსებით მართალი არ არის. თუ ცნება ინტელიგენციას ჩვენ ობივატელურად არ გავიგებთ, უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგ „კომუნისტის" შეხედულებისა, ინტელიგენციას ახასიათებს არა ბატონობა, არამედ ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა!

შეიძლება ქვეყნის მმართველები ხშირად ინტელიგენტები იყვნენ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ისტორიულად დღემდის ინტელიგენცია გაბატონებულ წრეს წარმოადგენდა.

თუ ინტელიგენცია მხოლოდ და მხოლოდ თავის კლასის იდეოლოგიის მატარებელი არის, მაშინ სოციალისტური ან პროლეტარული ინტელიგენცია უნდა შედგებოდეს მხოლოდ იმ ელემენტებისაგან, რომლებიც გამოსულან პროლეტარულ კლასიდან, ნამდვილად ეს ასე არ არის. თვით „კომუნისტი" სწერს: „მუშათა კლასის ინტელიგენციაც შეიძლება შედგეს, როგორც მაღალი, ისე მდაბალ წრეების წარმომადგენლებისაგან დიახ, ეს შესაძლებელია.

ის ინტელიგენცია, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, შესდგება სხვადასხვა სოციალური კლასებიდან გამოსულ ელემენტებისაგან სწორედ ამაშია რევოლიუციონური მშრომელი ხალხის აუცილებელი გამარჯვების ერთ-ერთი გარანტია!

ის ფაქტი, რომ მუშათა კლასის მხარეზე გადადიან ინტელიგენტები მოწინააღმდეგე ბანაკიდან იმის მაჩვენებელია, რომ მშრომელი ხალხის საქმე მართალი საქმეა, რომ მის მხარეზეა სამართლიანობა და რეალური ცხოვრება. სწორედ ამიტომ მუშათა კლასს აქვს სხვა კლასებზე მეტი შანსები თავის მართალი საკაცობრიო საქმის გარშემო თავი მოუყაროს ერის ინტელექტს, მოახდინოს თავისთვის მობილიზაცია ყველა იმათი, ვინც პატიოსანი და ცოცხალია, ვისაც აქვს გაგების უნარი და ბრძოლის ხალისი.

აქედან აშკარაა, ვინც ხელს კიდებს ისეთ უმაგალითო დიდს საქმეს, როგო-

რიც არის ქვეყნის ახალ სოციალისტურ საფუძველზე აწყობა, ვერ იტყვი: ინტელიგენტი არ მინდა, ინტელიგენციას ვერ ვენდობი!

გაზეთი „კომუნისტი“ „ინტელიგენტს“ უპირდაპირებს „სპეცს“.

ინტელიგენცია საშინელი ხალხია, სამაგიეროთ სპეციალისტები სავსებით მისაღები და სანდო არიან, რადგანაც, „კომუნისტის“ აზრით:

„სპეცები საერთო კლასობრივ იდეოლოგიას იმდენათ დაშორებული არიან, იმდენათ ჩაფლულნი არიან „სპეციალურ“ დარგში, რომ მათი კლასობრივი ხასიათი, რანაირი მოწინააღმდეგე კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი, მავნებელი მაინც ვერ გახდებიან: მისი კლასობრიობა კბილ მოჭრილია სპეციალობით“.

ჯერ ერთი მეტად მცირეა იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც ამ ქვეყანას სისტემით დაშორებულან და ჩაფლულნი არიან „სპეციალურ დარგში“. ესენი არიან ვიწრო სპეციალისტები, რომლებსაც ამოძრავებს მეცნიერული ინტერესი, რომლებიც გატაცებული არიან მეცნიერებით.

მაგრამ ასეთები განსაკუთრებით ჩვენში ხომ თითზე ჩამოსათვლელია.

სპეციალისტთა დიდ უმრავლესობას აინტერესებს და იტაცებს არა თეორეტიული ცა, ჭეშმარიტების მოუსვენარი ძიება, არამედ მას აინტერესებს პრაქტიკული მიწა, მისი ანგარიშებითა და სატკბოებით, მაშასადამე, თქმა იმისი, რომ სპეციალისტები სრულებით დაშორებული არიან თავიანთ კლასებს და მათ ინტერესებსა—ყოვლად მიუღებელია განსაკუთრებით მარქსისტისათვის!..

დებულებას: სპეციალისტები გვინდა ხოლო ინტელიგენტები კი არაო, შეიძლება სადმე სხვაგან კიდევ ექნეს გასავალი, მაგრამ ის ჩვენში სრულიად უნიადაგო და გამოუსადეგარია, რადგანაც ჩვენში სულ სხვა პირობებია.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ინტელიგენციით და მეტად ღარიბია სპეციალისტებით.

ჩვენში სპეციალური სასწავლებლები თითზე ჩამოსათვლელია მაშინ, როდესაც საერთო განათლების სკოლები პროპორციულად მეტად ბევრია.

ვიწრო „სპეცები“ ჩვენს ინტელიგენციაში აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენენ და ვინც ამბობს: ჩვენ ინტელიგენტები არ გვინდა, გაუმარჯოს სპეცებსო, ის უნდობლობას უცხადებს ჩვენს ინტელიგენციას, მის აბსოლუტურ უმრავლესობას.

ინტელიგენციისადმი უნდობლობა სრულიად უცხოა ჩვენი მშრომელი ხალხისათვის, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით და ნდობით ეპყრობა არამც თუ საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლ ინტელიგენციას, არამედ საერთოდ ნასწავლ ხალხს.

ჩვენი გლეხი მზად არის უკანასკნელი ლუკმა პური გაყიდოს, ოღონდ თავის შვილს სწავლა-განათლება მისცეს და რომ ჩვენი გლეხი ინტელიგენტს თავის მტრად სთვლიდეს, ის ამ თავგანწირვას არ გამოიჩენდა, ამ საქმისათვის ის დიდ მსხვერპლს არ გაიღებდა!..

როდესაც ერთი და იგივე პირი ინტელიგენტიც არის და სპეციც, როგორ შეიძლება მას უთხრათ: შენ როგორც ინტელიგენტს არ გენდობით, მაგრამ როგორც სპეცი სანდო და საჭირო ხარ??

ეს იგივე იქნება, რომ ადამიანს უთხრათ: შენს ხელებს ვენდობი, მაგრამ შენი თავი არ მინდა!..

ქართველი ინტელიგენტი უპირველეს ყოვლის არის პოლიტიკოსი, ის არის პატრიოტი. ვინც ამას ანგარიშს არ უწევს ის სრულებით ანგარიშს არ უწევს ქართველ ინტელიგენციას. ქართველი ინტელიგენციის „გაჩინოვნიკება“ და ისეთ არსებათ გადაქცევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოლჩალინის ფორმულას უნდა მისდევდეს, არც საჭიროა და არც შესაძლებელი!..

შეიძლება საქ. კომუნისტური პარტია მეტად მდიდარი იყოს ინტელიგენტური ძალებით, მაგრამ ქვეყნის აღორძინების საქმე იმდენათ დიდი და პასუხსაგებია, რომ აქ მთელ ქართველ ინტელიგენციას კი არა, უბრალო წერა კითხვის მცოდნესაც გვერდს ვერ აუვლით!.. „კომუნისტის“ იმავე ნომერში, სადაც ნათქვამია: ჩვენ ნდობას უცხადებთ ქართველ სპეცებს და ვებრძვით ინტელიგენტ-სოციალისტებსო, არის მოთავსებული სტალინ ჯუღაშვილის მოხსენება. მე აქ არ ვეხები ამ მოხსენების მრავალ საყურადღებო დებულებებს, მხოლოდ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ადგილი, სადაც შავათ თეთრზე სწერია: ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ ბურჟუაზიასო.

ამ ნაირად ჩვენ ვღებულობთ შემდეგ კურიოზულ დებულებას: შეთანხმება ბურჟუაზიასთან, და ბრძოლა ქართველი სოციალისტების წინააღმდეგ.

არა მგონია, რომ ამას მოითხოვდეს საქართველოს მშრომელი ხალხის და თვით კომუნიზმის ინტერესები!..

ზ.—ელი

# მოზაიკები*)

2.

ახალი რელიგია.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლ. თაობა ევროპაში უმთავრესად შემქმნელია სიმბოლიზმისა და ნეორეალიზმის. საფრანგეთი როგორც ძველი კულტურულ და ლიტერატურულ იდეათა პირველ წყარო ახალ თემათა მხრით, ორიოდე ათეული წლით უსწრებს ამ შემთხვევაში გერმანიას, ასე რომ, როცა გერმანიაში გერმანული ნატურალიზმი განვითარების ზენიტს აღწევს, ამ დროს საფრანგეთში უკვე გაისმის ლოზუნგი: „ძირს ნატურალიზმი“. ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ფრანგული სული დაუდგომელია თავის ფორმათა ცვლაში. როგორც სახელმწიფოებრივ ისე ხელოვნურ, არტისტულ ფორმებს საფრანგეთი უფრო ხშირად იცვლის, ვიდრე კონსერვატორული ინგლისი ან გერმანია. ფრანგული გენია მეტამორფოზის ჩქარ განცდაში მეტყველდება, გერმანულ—ანგლოსაქსური—სტაბილურ კონსერვატორობაში იხატება.

ნატურალიზმის ზურგის შექცევას საფრანგეთში უკვე მოჰყვა იდეალისტურ ეგზალტერული ჟანრი სვიმბოლიზმისა, რომელიც მიმართული იყო ზოლასეზურ ვერიზმის წინააღმდეგ.

გერმანული სვიმბოლიზმი ანუ ნეორომანტიზმი ძლიერდება მეცხრამეტე საუკუნის გასულს.

ყოველი ლიტერატურული მიმდინარეობა ევროპაში პარალელურად მიდის ამა თუ იმ კულტურულ ერში გაბატონებულ, ეპოქის ფილოსოფიურ აზროვნებასა და ატმოსფერასთან.

ნატურალიზმის პირველ წყაროდ საფრანგეთში ზოლა როდი იყო, არამედ მისი მასწავლებელი ჰიპოლიტე ტენი. გერმანული ნატურალიზმი კი ვუნდტის მექანისტურ ფილოსოფიის იდეებით იკვებებოდა.

გერმანული და ფრანგული ნეორომანტიზმის იდეური საფუძველი იყო არტურ შოპენჰაუერის იდეალისტური ფილოსოფია.

დღევანდელი, უახლესი მწერალთა და მგოსანთა თაობა ევროპაში სამ დიდ ფილოსოფოსის იდეურ სამყაროდან სესხულობს მოტივებსა და იდეებს. პირველია ნიცშე გერმანიაში, საფრანგეთში მისი მოწაფე ბერგსონი ხოლო ანგლოსაქსონურ ქვეყნებში პრაგმატიკოსი ჯემსი.

ბერგსონი განაგრძობს იმ ბრძოლას ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიაში ნიცშემ დაიწყო კანტის საწინააღმდეგო ამბოხით.

პირველი ეპოქა ნიცშეს ფილოსოფიაში იყო ტრაგედიის წარმოშვება მუსიკის სულიდან. მეორე ეტაპი მისი განვითარებისა, ტრაგედიის წარმოშვება მისტიციზმის სულიდან.

ფლობერი ეს ნამდვილი ბალზაკისებური საფრანგეთის Prince de toute sapience et de toute comédie, სხვარიგად გამოსთქვამს მის წინ მომავალი თაობის სულიერ ტრაგიზმს: je suis mystique et je ne crois à rien. ნიცშესთან ერთად ახალმა თაობამ შესძლო ზელოგიურობაში გადასვლა.

ბერგსონი განაგრძობს ბრძოლას შემეცნებით--თეორეთიულ რაციონალიზმისა და მექანისტური დეტერმინიზმის წინააღმდეგ. მისი მოძღვრება élan vital და ინტუიციის გამოცხადებითი ძალის შესახებ, საფუძვლად ედება უახლესი თაობის ხელოვნების თეორიას.

ამ ფილოსოფიურ იდეების ფონზე ხდება ხელოვნების სფეროში ღირებულებათა ხელმეორედ გადაფასება. იწყება მისტიურ-რელიგიურ ნიუანსების პირისჩენა მწერლობის ყოველ დარგში.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თვალსაჩინო ხდება როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში რენესანსურ-მისტიურ რელიგიური აზროვნებისა და გრძნობის ტენდენცია. ამგვარად ახალი თაობის არტისტიული ნებისყოფა გამომდინარეობს გნოსტიურ-ვოლუნტარისტულ მსოფლიო გაგებიდან.

ამ ტენდენციას თან მოსდევს კოსმიურობის შეგნების ლტოლვა. ამიერიდან უარყოფილია სამყაროს გეოგრაფიულ გრადუსებზე დაყოფა, ხელოვანი ცდილობს მსოფლიოს მთლიანობისკენ ეპყრას მუდამ თვალი და გულისყური.

მსოფლიო კაპიტალიზმით სალტე შემორტყმული ერთვნებანი უახლოვდებიან ერთი მეორეს. (რასაც ეგზომ ხელი შეუწყო სხვათა შორის ამ დრომდის გაუგონარმა მსოფლიო ომმა.) ევროპიელი ხელოვანი თავს არ იზღუდავს არა მარტო ნაციონალური ზნეობისა და ადათის ჩარჩოებში, არამედ თვით მცნება ზოგად ევროპიული სული და მსოფლიოს გაგების მას ევიწროება. აქედან იშვება ლტოლვილება ეგზოტიურობისა და კოსმიურობისაკენ მიმართული.

ეგზოტიური თემები წეროვანებში და მოთხრობაში, რომელიც მხოლოდ ინგლისის ლიტერატურას ახასიათებდა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ინგლისელთა მსოფლიო მონარქიის ვრცელი პოლიტიკურ და კულტურულ ჰორიზონტების წყალობით, უკვე გერმანიის, (ჰერმან ესსე, სტეფან ცვაიგ მაქს დაუტანდაი) ისე დანიის (იოჰანეს ვ. იენსენ) და საფრანგეთის (პიერ ლოტიდან) პოეზიაში და ლიტერატურაში ხშირდება.

ამ ახალი ტიპის ხელოვანს ახასიათებს მოგზაურობის, მსოფლიოს ქუმაშვალო შეგნება-შეცნობის წყურვილი და ნებისყოფა.

ეს თაობა შეიგნებს რომ ხელოვანის და მსოფლიოს შემეცნებისაკენ მიმავალი უახლოესი გზა სამყაროს უვლის გარშემო.

გერმანიაში ეგზოტიური პოეტი მაქს დაუტანდაი ინდოეთში პოულობს თავის ბობოქარი და მღელვარე ცხოვრების დასასრულს. პოეტ ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკი გრაფ ჰერმან კაიზერლინგი 1914 წ. ომის დასაწყისში სამუდამოდ ემშვიდობება თავის გულის მეგობართ და ნათესავთა რომ გადიკარგოს კოსმიურ ძალთა და პანორამათა შესაცნობად.

ამიერიდან ეგზოტიკოსებისათვის ჰქრება ზოგად ევროპიული თემათა ჩარჩოები, ზოგად ევროპიული პატრიოტიზმი. ხელოვანის თვალი და გულისყური კოსმიურ პანორამებისაკენაა მიქცეული. ამ კოსმიურობის პოეტებს ჯერ წარსული საუკუნიდან ახსოვთ ამერიკელ ვ. ვუიტმანის ანდერძი:

„ვოლ ვუიტმან—კოსმოსი“.

ამგვარად ევროპაში იშვება ვუიტმანისტური ახალი პოეზია კოსმიურ დინამიურ შტრიხებით, იგი ისეთივე განუსაზღვრელობითაა აღვსილი და მოწყურვებული, რომელიც ადამიანის უსაზღვრო სულს ეკადრება. ვუიტმანი თავის Blade of grass-ში მიჰყვიოდა მის წინ მომავალ თაობას: „მომავალნო პოეტებო, მომღერალნო და მომავლის მუსიკოსნო“

„არა დღევანდელ დღეს ვამართლებ მე
და პასუხს ვაძლევ თუ რათ მოვსულვარ.
თქვენ ახალნო თაობანო, ძლიერნო ატლეტიურნო, დიდნო ვიდრე ოდესმე.
აღსდექით. აღდექით რათა მე გამამართლოთ, გამომიხსნიდოთ!
მე მხოლოდ ორიოდე სიტყვით განიშნებთ მომავლის დიდების მუხლზე.
მე ერთის წამით გამოვდივარ, რათა ისევ წყვდიადს მივეფარო“.

მართლაც ვუიტმანის შემდეგ მომავალმა თაობამ ისმინა ამ სულითა და ხორცით ძლიერ მოხუცის ძახილი.

სვიმბოლიზმი უალრესად ანტი დვინამიური ხელოვნება იყო.

მისი სიტყვის მატარებელნი ნისლიანი თვალებით და რომანტიული მელანქოლიით შეჰყურებდნენ მომავალს და წარსულს. მელანქოლია და იქვეიულობა იყო სვიმბოლისტების უმთავრესი ატრიბუტი.

ახალი ეგზოტიურ კოსმიური თემებით და იდეებით გამოსული თაობა სიცოცხლის და მოძრავი ყოფის მოყვარულია.

ამ იდეურ ნიადაგზე მდგარი თაობა მაძიებელის, შემცნობის და ანალიტიკოსის თვალით როდი შესცქერის მსოფლიო მაკროკოზმოს არამედ უსიტყვოდ დამტკბობის, უსიტყვოდ მიმღების.—

როგორც აქტივისტები, ისე ექსპრესიონისტები მიმღების და დამტკბობის როლით კმაყოფილდებიან.

ამ იდეებზე აღზრდილი თაობა თვით პოლიტიკის სფეროში იჭრებიან, რათა უფრო აშკარად განიცადოს მსოფლიო დვინამიკა, ზოგიერთ მათგანს სჯერა კიდევაც რომ მსოფლიოს ფენომენს—ხელოვნების საშუალებით თუ შეუძლია თვითგამორკვევის პრინციპთან მიღწევა.

ამ აქტივისტურ ექსპრესიონისტურ თაობას სძაგს ყოველივე ჰიპ-ხონდრიულ მელანქოლიური ესთეტიზმი დ დილეტანტიზმი სვიმბოლისტებისა. საფრანგეთში კამილ მოკლერი—მერკურ დე ფრანსის—ფურცლებზე ილაშქრებს მისი თანამედროვეობის წრეს გადასულ უსაქმო ესთეტიზმის და პასიურობის წინააღმდეგ. იწყება ქადაგება საქმისა და აქტიურობისაკენ მიმართულ ნებისყოფის გაძლიერებისათვის.

ამ ხანებში იწყება პარიზში რევანშისტების გამარჯვება მსოფლიო ომის ნიადაგის მოსამზადებლად, აქტივისტ-ექსპრესიონისტები თვით პარლამენტში და პრესაში გამოდიან პოლიტიკური იდეების ვექილებად. ამ ანტი პსიხოლოგობის მომხრე თაობის პირით მჭერმეტყველურად ქადაგებს ლუდვიგ რუბინერ:

„ამიერიდან ხელოვანის მეოპის ყოველნაირი გამომჟღავნება, სიტყვა ორატორობა, ლიტერატურა და პოეზია პსიხოლოგიური კი არ იქნება, არამედ მეტაფიზიკური, იგი ამავე დროს ეთიური უნდა დარჩეს. ახალი ექსპრესიონისტურ კოსმიური პოეზიის მასშტაბი იქნება არა სვიმბოლიზმის ეგოცენტრიზმი, არამედ კოსმოცენტრიულობა.

ყოველივე ექსპრესიონიზმი მითი განსხვავდება იმპრესიონიზმიდან, რომ როცა უკანასკნელისათვის მსოფლიოს ცენტრო ხელოვანის მეობაშია გადატანილი, ექსპრესიონიზმის ეთიურ-ესთეტიურ მსოფლიო გაგების ცენტრო მეობიდან არა მეში, პიროვნებიდან ბუნება კოსმოსში იქნა გადატანილი.

იმპრესიონიზმის ფილოსოფიით, მსოფლიო, მეოპიდან სესხულობს ფერადებს და სულობას, ექსპრესიონიზმის თვალსაზრისით მეობა მსახურია კოსმიურობის, მეობა კოსმოსიდან სწავლობს და კოსმოსის ფერით იქლინთება. ასეთ თემით სწადიათ ექსპრესიონისტებს მესა და არა მეს, მეობასა და ბუნებას შორის არსებულ დისტანციების დაძლევა და მათ შორის ჩატეხილ ხიდის გამთელება.

ექსპრესიონისტები უარყოფენ ირაციონალურ მსოფლიო შეცნობასა, მათ მსოფლიოს ჰარმონიულსა და მთლიან შეგრძნობისაკენ უპყრავთ თვალი. ეს ექსპრესიონისტული ლტოლვა მსოფლიოს ყველაში გათქვეფისა, სპინოზასებურ პანტეიზმის მონათესავე გრძნობაა, მხოლოდ იგი უფრო მისტიურ-რელიგიურ ბუნებად ქმნის, ბუნებად ქცევის მისწრაფების მატარებელია.

ეს ახალი კოსმოცენტრიული აპერცეპცია სამყაროსი, ახალი კოსმოცენტრიული სული—გონება უნდა დაუპირდაპიროთ სვიმბოლიზმს, რომლის შემოქმედებითი შეგნების სათავე იყო ძველი ეგოცენტრიული მეთოდი და სტილი.

ეგოცენტრიულ სვიმბოლიზმისათვის ადამიანის და ხელოვანის მეობაა „ანტროპოს მეტრონ ლიპანტონ“—ადამიანი საზომი მოვლენათა.

კოსმოცენტრიული ექსპრესიონიზმი ეთიურ ესთეთიურ ნორმების პრობლემათა ფოკუსს კოსმოსში ეძიებს და პოულობს.

ამ გზით სწადიათ ექსპრესიონისტებს სამყაროს დაპყრობა. ეს „დაპყრობა“ უნდა იქნას მხოლოდ მეტაფიზიკურად გაგებული ეს მისტიურ-მისტერიული ლტოლვა სამყაროსადმი რელიგიურ ექზალტაციას [illegible] გერმანელ [illegible] გიურ მომენტს [illegible] ექზალტაცია [illegible] ფრანგები ferveurs paroxysme-ს.

ჟიულ რომენი, თავის Manuel de déification-ში ჰქადაგებს პიროვნების გაჩუქებას. ხელოვანმა თავისი პიროვნება უნდა შესწიროს, უნდა აჩუქოს კოსმოსს.

ეს ახალი მისტიური პანტეიზმია, გაღმერთება ბუნებისა და კოსმიურ ძალების. ხელოვანი—თვით ქურუმი და თვით ზვარაკი. ეს არის გაღმერთება სამყაროსი, ხელოვანის პირით;

ქვეყანა ღმერთის თავშესაქცევი წარმოდგენაა, ამ წარმოდგენის პრემიერი არტისტი—განღმერთებული ადამიანი. იმპრესიონისტულ პათოსს უპირისპირდება ახალი პათოსი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება მე-19 საუკუნის ლირიკის პათოსისაგან, გასული საუკუნის რეალიზმისა და ნატურალიზმს სავსებით ეუცხოებოდა ყოველივე პათოსი.

ახალთა შორის უგულწრფელესი პათოსის მატარებელი იყო ნიცშე.

ახალი პათეტიზმი და მისტიციზმი ახასიათებს ჩვენს თანამედროვეობას.

ეს ახალი თაობა კარდინალურად განსხვავდება სვიმბოლისტებისაგან, მისი დამოკიდებულებით ეროტიზმისადმი.

ეს მისტიურ-რელიგიური პათეტიზმი უახლესი პოეზიისა თითქმის არა ეროტიულია. მაშინ როცა სვიმბოლისტების მსოფლიო გაგებაში ეროტიულ მომენტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიზომილი. ანტი ეროტიული ტენდენცია ახალი თაობისა სრულიად გასაგებია და ბუნებრივი, ადამიანი რაც უფრო მაღლა არის გონიერებით განვითარების პირამიდაზე, იმდენად სცილდება მისი ინტერესთა სფერო ქალს, როგორც ობიექტს ეროტიზმისას. ნამდვილი ხელოვნება ანტიკურ სამყაროშიაც ანტიეროტიული იყო უმთავრესად, იმ მხრით რომ ქალი როგორც ობიექტი ეროტიზმისა უარყოფილი იყო თუ სრულებით არა, ყოველ შემთხვევაში ქალი დაყვანილი იყო ეროტიზმის მეორე რანგის ობიექტის საფეხურამდის.

ჩვენი თანამედროვეობაც უახლოვდება ამ მხრით პერიკლესეულ ჰელლადს თავისი ანტი-ფემინისტური ეროტიზმში. (აქ უნდა მოვიგონოთ სტეფან გეორგეს მიუწვდომელი ჯგუფი და თომას მანის რომანი სიკვდილი ვენეციაში, რომელიც ერთ უდიადესს ფურცელს წარმოადგენს თანამედროვე ანტი ფემინისტურ ეროტიზმისას. *)

იმპრესიონისტული ხელოვნება სამყაროს და შემოქმედების სათავედ და ცენტრო პუნქტად მეობას სთვლიდა.

ექსპრესიონისტული მუდამ ჟამს აბსოლუტურის ძებნაშია. პირველის გამოთქმის ორგანოდ იყო ლირიკა, ხოლო მეორის—ეპიკური პროზა და დრამა, როგორც უმაღლესი რანგის ხელოვნების ორგანონ გამოთქმისა.

იმპრესიონისტული ხელოვნება იყო ხელოვნება რჩეულთათვის—რჩეულთათვის.

ექსპრესიონისტული ხელოვნება ეგოცენტრიულ სოლიპსიზმს უარყოფს და ერთად უარყოფს ყოველივე გადაჭარბებულ ინდივიდუალიზმს.

ჟიულ რომენი (თავის Le roman d'aventure-ში—: „Plaisir d'être au milieu de univers........ Plaisir d'être au milieu des hommes.“

ამ გზით რივიერი უარყოფს იმპრესიონიზმის არისტოკრატიულ განდგომილებას ხალხისაგან, ერისაგან. ეს ახალი ძმობის მოძღვრება ხალხის სულის წყაროსთან ახლოს მისასვლელი.

ეს ახალი აქტივიზმი უარყოფს ყოველივე განყენებულ ესთეტიციზმს ფრანგის სიმბოლისტებისას, რომელთაც პრინციპი ხელოვნება ხელოვნებისათვის დოგმად გაიხადეს და აბსურდამდე დაიყვანეს.

ამიერიდან ხელოვნება აღარ არის რომელიმე კასტის საქმე, იგი ყველას შემოქმედი, ყველას გულის გამთბობი ღმერთი. ახალი თაობის ხელოვანს უნდა ჰქონდეს დიდი და მისიყვარული გული სამყაროს და ადამიანობის მოძმის ტკი...

*) მოზაიკა № 1. დაიბეჭდა ჟურნალ „ხელოვნების“ მეორე ნომერში.

*) აქვე ოლდოს. „ვეერგვენისანი სიცილი“.

ვილების მისაღებად და სატვირთელად ეს სიყვარული მთელი კოსმოსისა, აერთებს ხელოვანის გულის ძარღვებს მსოფლიოს დინამიურ ძალებთან, ამგვარად იშვება vita nuova განახლებული ადამიანობისა. Peaisir d'etre au nilieu de universe. Plaisir d'etre au milieu des hommes. ეს არის ახალი რელიგია ახალი თაობისა.

კონსტანტინე გამსახურდია.

ტფილისი 1921 წ. ივლისის 12-ს.

# ოთხი თვის შემდეგ

უკვე ოთხი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოვიდა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, უფრო სწორედ ბოლშევიკური წყობილება. პირველ დღეებში ძნელი იყო ამ ძალის შესახებ გადაჭრით რისამე თქმა. რით შემოვიდა ეს ძალა საქართველოში და რა მიზანი ჰქონდა მას ჩვენ მიწა წყალზედ, ტერიტორიაზედ. დღეს უკვე უფრო აშკარად არის ჩვენ წინაშე ამ ძალის ფიზიონომია, უფრო ნათელია მისი შემოქმედება, მისი სოციალური და ეროვნული პოლიტიკა. ოთხი თვის შემდეგ, ქართველ ხალხს შეუძლია ანგარიში მოსთხოვს ამ ძალას და შეუძლია შეაფასოს იგი.

რას გვეუბნებოდენ ბოლშევიკები და რა გაკეთდა ამ ოთხი თვის განმავლობაში? უპირველეს ყოვლისა მათი დეკლარაციით საქართველო აღიარებულ იქნა სუვერენულ სახელმწიფოდ. აქედან გამომდინარეობს, რომ მთელი რიგი უდიდესი საკითხებისა გადაჭრილი უნდა ყოფილიყო ამ სუვერენობის თვალსაზრისით. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უნდა გამტკიცებულიყო ერისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპის ქვეშ, სახელდობრ, სახელმწიფო ენათ ქართული ენა უნდა დარჩენილიყო, რუსეთის ჯარის ნაცვლად, ეროვნული ჯარი უნდა შექმნილიყო მხოლოდ ქართული ფულის ნიშნები უნდა ყოფილიყო ხმარებაში. პროვინციების თუ ეროვნულ უმცირესობათა საკითხი საბჭოების მოწვევისათვის უნდა გადადებულიყო, სახელმწიფოს უნდა ქონოდა თავისი საკუთარი ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკა და დასასრულ აუცილებლად დახმარებით უნდა მომხდარიყო საბჭოების არჩევნები.

რა გაკეთდა ამ მხრით ჩვენში? როგორი სახით მოხდა დაპირებათა რეალიზაცია? როგორი სახე მიიღო საბჭოთა კონსტიტუცია მ?

სამწუხაროდ, დაპირების რეალი გატარება პრაქტიკაში ჯერაც არ მომხდარა და ის პოლიტიკური კონიუქტურა, რომელიც შექმნილია ჩვენში, ვერ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ამ დაპირებებს ახლო მომავალში განახლდებს ჩრდილოეთიდგან მოსული ძალა. ქართული ენა, დღეს სახელმწიფო ენა აღარ არის (რასაკვირველია არა ფორმალურად, არამედ ფაქტიურად) ქართული ლაშქრის შექმნის გამო, არ მოხდა რუსის ჯარის გაყვანა ჩვენი ქვეყნიდან, საკუთარი ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკის ნაცვლად გაიხსნა ყოველი მხრით სახელმწიფოს კარები და ყველი ჯარის სპეკულიანტებს ფართო ასპარეზი გადაეშალა, რომ სომხეთისა და აზერბეიჯანის ფას დაკარგული ფულის ნიშნებით შეიძინოს საქართველოში რაც კი მოეგვეპოვება და ამნაირად დაკანონებულად გატუტოს ეროვნული სიმდიდრე. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი (საბჭოს გადაწყვეტის მაგივრად) გადაწყდა და მათი დამოუკიდებლობა გამოცხადდა და საქართველოს სამკუთხედ ქუთხე აფხაზეთი, რომელიც მას ეკუთვნის ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად, დღეს დამოუკიდებელია უფრო, ვიდრე თვით საქართველო. რკინის გზების შეერთება მოხდა, პროფესიონალ კავშირთა გაერთიანება დამტკიცდა და საზღვრებიც კი წაიშალა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „კომუნისტის“ გამოცხადებას, რომ საქართველოს საზღვრები არსებობს სადღაც, გამოურკვეველი, ჯერ არ აღნიშნული.

ყველა ამ ცალ-ცალკე აღებულ მოვლენებს, რომ ერთ ჯამში თავს მოუყრით კითხვა სდგება: რისი დამოუკიდებლობა არსებობს დღეს საქართველოში? ჩვენი სახელმწიფოსი? რასაკვირველია არა.

დღეს ჩვენი მდგომარეობა მეტად რთულდება. სიმშილს განიცდის ქართველი ხალხის უმრავლესობა. საშინელი ჩენი კარს მოგვსდგომია და სიკვდილის ცელი მუსრავს ხალხს. ჩვენი ქვეყნის მარაგი ჩვენივე ხალხის სარჩოდ არ კმარა, ამავე დროს აუარებელი უცხოელი შესანახად ჩამოგვდგომია და ჩვენი ლუკმაპური მას უნდა მივაწოდოთ.

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობაში საშინელი არევ-დარევა არის გამეფებული და მხოლოდ რევკომის სიტყვით შეუძლებელია ხალხისა და ქვეყნის ხსნა. ასეთ კრიტიკულ მომენტში მთელი ეროვნული ძალთა დაჭიმვაა საჭირო, მთელი ძალის ამოძრავებაა აუცილებელი.

მაგრამ... მაგრამ ამაზედ ჯერ კიდევ არავინ ფიქრობს.

ნუ თუ რევოლიუციის ანგარიში უნდა ჩაითვალოს რკინის-გზის გაერთიანება, პროფკავშირთა შეერთება, ენის განდევნა სახელმწიფო დაწესებულებათაგან: საკუთარი ეკონომიური პოლიტიკის მოშლა, და რევკომის სისტემის ბატონობა? რა კავშირია ყველა ამას და კომუნიზმის მაღალ იდეებს შორის? რა საერთო არის ამ საქმესა და წითელ დროშას შორის? გადაჭრით ვამბობთ, რომ არაფერი.

სანამ საბჭოების მოწვევა არ მომხდარა, სანამ ქართული ენა სახელმწიფო ენათ არ აღდგენილა, სანამ ერთი სიტყვით სუვერენულ სახელმწიფოს ატრიბუტები არ გამტკიცებულა, მანამ საქართველოს დამოუკიდებლობა არ არის ფაქტი, იგი ლამაზი ფრაზაა, იგი მხოლოდ დეკლარაციაა.

გარედგან შემოსული რევოლიუცია კიდევ შეიძლება იწოდოს რევოლიუციათ თუ კი იგი რევოლიუციურია თავის შინაარსით, მიზნებით, მოქმედებით. დღეს კი უკვე მეოთხე თვე გასულია და ასეთი მოქმედება არა სჩანს.

ოთხი თვის შემდეგ მაინც დაფიქრება მართებთ ჩვენს ხელისუფალთ.

ხერ. ამალლობელი.

# თეთრ სამეფოსკენ

როცა მთვარე ტბის ზვირთებზე გადმოაფრქვევს სხივთა ბროლებს,
როცა ალთა ჟრიამული ლაჟვარდ ტალღებს ათრთოლებს,
როცა მთებზედ ჰქრება ცეცხლი და წყვდიადი ყორნის ფრთებით
შავს მოსასხამს შემოიხვევს ლეგენდარულ ჩუქურთმებით,
როცა ციურ სინარნარით საოცნებო ვარდს და იას
თეთრი ელვა მოედება, —დააფარებს თეთრ მანტიას?..
როცა ღამის მყუდროება უჩუმარი სიმთა ჟღერით,
მთელ ბუნებას დაიმონებს საოცარის სიელფერით.
მაშინ, ვით ზღვა ცვალებადი, მეც შორს ვტყორცნი ღვთის განდებას
ფიქრით ვლახავ ვიწრო საზღვარს და ვიმონებ გრძნეულ ვნებას;
სუბუქ ნავით შორს მივცურავ ვით ოცნება ბობოქარი...
შორს მივცურავ ობოლ ნავით, ხელთ მიპყრია სევდის ქნარი:
—გასწი!—ვყივი გამარჯვებით—გადალახე ცის საზღვარი,—
დაიმონე ქარიშხალი, დაიმონე თვით ზღვის ქარი,
მიაღწიე თეთრ სამეფოს, მოიპოვე უკვდავება!
სად ანათებს ელლინთ ცეცხლი, სად ელვარებს მზის ბუნება,
სად ციმციმებს ის სამყარო, რომლის ღმერთი არწევს აკვანს,
მწამს ვიხილავ საოცრებას, და შემოქმედს მეც ვცემ თაყვანს,—
—გასწი—ვყივი ვით არწივი,—ამ ტალღებზედ მე ვარ ღმერთი,
მე ვარ ქვეყნის გამარჯვება, მთელ სამყაროს შემაერთი!
ჰხედავ, უღირს დედამიწას სად ჰქონდა დასასრული?!
მას ოცნების სუბუქ ფრთებზედ ელირსება აღსასრული;
რისთვის გვინდა დედამიწა, რისთვის გვინდა, ან მზე მისი,
იქ ელვარა ცის სივრცეში ვპოვოთ სხვა მზე მარადისი;
აქ დაწყევლილ შავს მსოფლიოს ღამე სტყორცნის სევდის რკალებს
აქ დაჩაგრულ მოძმის სისხლი გულის სიმებს აკანკალებს.
ჰეი, ბრუნავ—დედამიწავ, მზე ვერ გათბობს, ვერ გახარებს,
სიკვდილი კი კბილთა ღრჭენით ფუჭ სიცოცხლეს დაჰხარხარებს.
იქ კი, გხიბლავ თეთრ კოშკისკენ უკვდავების დროშა ფრინავს,
არ არსებობს იქ სიკვდილი, ძე კაცისა არა გმინავს
იქ ზღაპრულ და მორთულ მთა-ბარს ჰკოცნის სხვაი მილივლივე
მარადიულ სათნოებას ემონება ყოველივე.
ზღვა კი ღელავს, ზღვა ბობოქრობს, ჯოჯოხეთივით ჰქუხს და ელავს,
მიჰქრის ნავი; მზის სამეფო შორით მოსჩანს, შორით ღელავს.
ჩემი ნავი დროშასა შლის, ჩემი სული ზეიმს იწყებს!
— მე მეფე ვარ! ვყივი მარად—მე ვერვინ დამივიწყებს!

თამარ ტარუაშვილი.

# სიზმარი

(ჯიგა კანდელაკს)

არის ბავშობა უდარდელი პირველ გრიფელით
გემშვიდობები სამუდამოთ ჩემო სულამით.
როგორც პაოლო, კართაგენი და ეიფელი
სულში სიზმარი აიმართა—ნახული დამით.

და მელანდება საიქიოს სასტიკი რუქა,
ვით თეორემა ქიმერებით გადახლართული
გამხდარ ციფრების ეშაფოტზე კიდიბოლდ მუქად
დედოფლის პაჟი—მეოცნებე ქარი ქართული.

მელოდება ვით ფისმანლერს შავი საკრავი,
რომ პაგანინი გადაყლაპა პირით ქოფაკით
მორგის მუცელი—ნაწლევებით განაძაგრავი—
ეს იყო სკრიპკა უიმედო ვით სარკოფაგი.

წაიღო ქარმა უკვდავების რუქა მაღალი
თამარს ფეხებზე მოახვია ზღაპრულ შლეიფათ.
ქარი ქვესკნელში გადავარდა აყალ-მაყალით,
დააჭრიალა ეს ქვეყანა მან საქეიფოთ.

ავ მოჩვენების მაგონდება წუთი ცისმარი...
(იყევ ბავშობა უდარდელი პირველ გრიფელით)
დღით მოგლეჯილი დაიმსხვრევა ჩემი სიზმარი:
როგორც პაოლო, კართაგენი და ეიფელი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

# ტიტო ფარესიშვილის კუბოსთან

ექსპრომტი

ძვირფასო ტიტო, შენს ძვირფას ცხედარს
ცრემლით დასტირის სამშობლო შენი,
სამშობლო, რომლის კეთილდღეობას
შესწირე შენი სიცოცხლის დღენი.

თუმცა უგუნურ ბოროტმა ხელმა
სისხლით შეღება ეგ შენი გული
და არ გაცალა რომ აღგედგინა
ერი მაშვრალი, ერი ტანჯული,—
მაგრამ იცოდე შენს ღვაწლს და ამაგს
არ დაივიწყებს შენი მამული
და ქართველ ხალხში მარად დარჩება
უკვდავი ხსოვნა და სიყვარული.

გ. ქუჩაშვილი.

# პატრიოტიზმის სახელით

(გაგრძელება)

ეროვნულ ხაზის გამართვა პოეზიაში არის მთავარი მოტივი „ცისფერი ყანწების“. საქართველოს გადიდება არ არის სრულყოფილი ცქერა და პოეტური ამღერება. საქართველო ძალოვანია მეტად, მთელი და ფოლადის რელსებით შეკრული.

საქართველო მარადია და არა ეფემერი. არა ტფილისის მაზრაში და ქუთაისის გუბერნიაში მომწყვდეულ, არამედ გადაშლილი დარუბანდიდან ტრაპეზონამდ. დღ. ასე მოდის ირრედენტას სუნთქვა.

ამას ჰქონდა ლიტერატურული მნიშვნელობა. მებრძოლი პატრიოტიზმი საქართველოს მესიანიზმში იშლება.

ტიციან ტაბიძის წერილმა ირრედენტის შესახებ ოფიციალური წრეები ალაპარაკა ეს ჯანსაღი პატრიოტული თქმა „მთლიან საქართველოს“ დახურვით შეეცადა რუსეთის და პოლონეთის ლირიკა არა ერთხელ აღუდგენულა მესიანიზმის ხმებით.

ჩვენში პატრიოტული მღერა კაკოფონიად მიიღეს და შოვინიზმის სახელით მონათლეს. ან იცის ახლანდელმა პოეტურმა მეტი ცეცხლული პატრიოტიზმი?

ვინ არის დამნაშავე თუ ჩვენში ბუნებრივ, მამულიშვილურ გზნებას მითიურ შოვინიზმათ ასაღებენ. ვიმეორებ პატრიოტიზმი და მესიანიზმი ბოლომდე გატარებულია „ცისფერ ყანწების“ ლიტერატურულ გამოსვლებში.

„ცისფერ ყანწების“ ეროვნულ აღტაცებას არ უნახავს საქართველოში რეზონანსი, გარდა დ. კასრაძისა, რომელმაც ფელეტონი უძღვნა საკითხს და მულ ირრედენტას.

აზერბაიჯანულ ჰანგებში გახვიეს საქართველო, რომელიც აზერბაიჯანს გასწვდება თავისი ჰანგების მრავალფერებით.

ქართული სტილის სიწმინდე და ქართული ესთეტიური სიამაყის დაცვა იყო და არის მიზანი „ცისფერ ყანწების“.

ბევრს კი დღესაც მიღწევად მიაჩნია დიპლიპიტოს ხმაზე აღლერება. ეს გემოვნების საქმეა.

ეთნიურ „სუმბურის“ შესახებ.

გრ. რობაქიძემ უკვე გახსნა ბრჭყალები.

იმ თავითვე ცხადი იყო: არც ერთ ცისფერ ყანწელს, უმეტესად გრიგოლ რობაქიძეს არ შეეძლო ეთქვა ის, რაც უმართებულოდ იქნა გამოტანილი პრესაში.

ერთია რეალობა, სხვაა მასთან დამოკიდებულობა, ერთია ფაქტის დასახელება, მეორეა ლოგიურ დანასკვნის გამოტანა.

აღნიშვნა, რომ საქართველოში იყო კერპთაყვანისმცემლობა, არ ნიშნავს უკანასკნელის მიღებას, როგორც რელიგიას. აქ სულ სხვა კატეგორიებია.

ქართველის რასსიული მოდგმა ჯვარედინზეც გაკრულია.

საიდუმლოთ არის მეცნიერებაში ეს საკითხი მიჩნეული. ჩვენი ტომის შტო მიურულ პირამიდების ქვეშ არის მოყოლილი.

ვარია იდეტიდები თუ სუმერები? შეიძლება ორივე, ან არც ერთი აქ ჰიპოტეზების ენა მეტყველებს.

ყოველ შემთხვევაში საქართველო მრავალ მოდგმათა სათავეა.

შორეულ [illegible] საქართველო, ნამეტნავი [illegible] ლი, გალვან[illegible] თიდან მოხეთქილ ტომებისა. ეს ისტორიული ჭეშმარიტების თქმაა.

ტფილისი ამ რასიულ ღელვის ერთი წერტილია.

ეს არის რეალობა. ჩვენი დამოკიდებულება მასთან? ტფილისს სჭირდება გაწმენდა; ეროვნულ სახის ჩამოსხმა. ტფილისი საქართველოს ნერვია და გონება და უნდა იყოს სრულიად დახვეწილი უცხო გავლენისაგან; ამას ვიტყვით ყოველთვის: როგორი ხელისუფლებაც არ უნდა არსებობდეს საქართველოში.

საქართველოს ტრაგედია ამ მწარმს უფრო განამტკიცებს. ვერც დამოუკიდებლობის მეტაფორით იხვევს ვინმე თვალებს.

ამ რგოლიდან მოდის „ცისფერ ყანწების“ დამოკიდებულება იმ ტიპებთან, რომელიც მოცემულია ჩვენ ლიტერატურაში: ტფილისის მოქალაქის ტიპი უკანასკნელის გარჩევა და ეროვნულ ჩარჩოში ჩასმა ძნელია: ყარაჩოღელი ეს არის ბიოლოგიური სუმბური.

ასეთი ტიპის არსებობა ქართულ ლიტერატურაში უდავოა. მას ჰყავს თავისი რაინდები.

ეს სთქვა ივ. გომართელმაც „ლეილაში“, თუმცა სხვა შინაარსი მისცა ამ თქმას.

„ყარაჩოღელი უპირველესად ტფილელი მოქალაქეა, შეიძლება ის ქართველი იყოს, შეიძლება სომეხიც—სულ ერთია, ის შვილია საქართველოსი, საქართველო მისი სამშობლოა“. („ლეილა“) აქ აღსანიშნავია მხოლოდ ეროვნულ სახის გაურკვევლობა და სუმბურობა. ამის აღნიშვნა ეროვნული ღალატია?

იყავით მიუდგომელი და სთქვით პირდაპირ. მაგრამ როგორია აზრი ამ ყარაჩოღულ პოეზიაზე „ცისფერი ყანწებისა“, ეს ცხადია ყველასათვის.

საჭიროა ამ „სუმბურის“ გაფანტვა და გარკვეულ ეროვნულ ნაკვთის მიცემა. ამ ნიშნის ქვეშ მოდიოდა და წავა მომავალშიაც „ცისფერი ყანწების“ ბრძოლა. ამ „სუმბურის“ სტილის ავტორებით თქვენ სწურავთ და ზომავთ ქართულ პოეზიას.

ინტელექტუალური ორმაგობა! წყარო ამ ზღაპრის „პოეზიის დღეში“ დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის წერილია.

რა არის ამ წერილში ნათქვამი ისეთი, რაც უარყოფდეს წინეთ აღიარებულს.

ამ შემთხვევაში ფაქტებით ვილაპარაკებ. „პოეზიის დღე“ გამოვიდა მაისის 7, როდეს საქართველოში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. ამაზე წინ გრიგოლ რობაქიძის წერილი „საქანელა და სახრჩობელა“ დაიბეჭდა „ბარრიკადში“ 1920 წ. ოქტომბრის 18. მანძილი დიდია.

ვისაც გაგების უნარი აქვს, მას არ შეუძლია დაინახოს „ინტელექტუალური ორმაგობა“ ამ ორ წერილში.

მხოლოდ საჭიროა კაცმა ჭკუას ძალა დაატანოს.

„რევოლიუცია არ არის მარტო პოლიტიკური გადატეხა. არ არის იგი არც მატერიალური ურთიერთობის გარდაქმნა მარტო. რევოლიუცია უფრო მეტი რამ არის; იგი კოსმიური მოვლენაა ძირეული“. სწერდა გრიგოლ რობაქიძე მაისის 7.

„სამყარო ინგრევა. ამის შემჩნევა არ შეუძლიათ მხოლოდ ბაზელის კმაყოფილებს. არის იგი ნგრევა უმთავრესად კოსმიური თუ მარტოოდენ სოციალური: ის ბოლოს და ბოლოს შეცნობის ინტენსივობის საკითხია. არსად ისე მძაფრად არ ცნაურებულა ეს ნგრევა, როგორც პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში“ (ხაზ. ჩემია).

ამ ორ ამონაწერში მხოლოდ ერთი ხაზია ერთი მეორისაგან განმასხვავებელი. თუ მეორე ამონაწერში რევოლიუციის შინაგანი თვისებას და რადიუსის სიგრძეს არ აქვს სახელწოდება, პირველში მას კოსმიური ხასიათი აქვს მიცემული, მთავარი—ნგრევა არ არის პრობლემატიური. და საერთო სული ორივე წერილის ერთი აზრით არის გაშუქებული: პოეზია და საერთოდ ხელოვნება რევოლიუციის პროცესშია. ეს „ცისფერ ყანწელების“ მიერ თქმული მრავალჯერ (ამის შესახებ ქვემოთ) „მსოფლიო ომი, სოციალური რევოლიუცია და კომუნისტების გამარჯვება ამტკიცებს, რომ ძველი ქვეყანა კვდება, როგორც მოხუცი კრონინი—სთქვა მან უკანასკნელი რეკვიემი საკუთარ თავზე და არის ნიშნები

ახალი მსოფლიოს შექმნის“ (იხ. შვილდოსანი № 1, იანვარი 1920 წ. ტიციან ტაბიძე). არის სადმე ხაზის შეცვლა? თუ არის მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტიციან ტაბიძე არ სწერს ისე, როგორც წინეთ და საქართველოს იდეას უფრო მაღლა აყენებს, მაშინ როდესაც ბევრი ფსევდონიმს ამოფარებული მზათ იყო ახალ ხელისუფლებისათვის ინსტიტუტური რევერანსი გაეკეთებინა.

შემდეგ: გრიგოლ რობაქიძე იმავე წერილში „საქანელა და სახრჩობელა“ მინიატურულ ქედილ მზაკრებში ახასიათებს ქვეყნის არევას, რომელიც განსახიერდა პოეზიაში. ორივე წერილში გრ. რობაქიძე საკითხს კოსმიურ სიმაღლით განიცდის უმეტესად და არა ემპირიულად.

კვდება სამყარო, კოსმოსი და ქაოსში იშვის ახალი. უკანასკნელის აღტაცებისათვის საჭიროა ახალი სიტყვა, სიტყვა პოეტურად გამართული.

მისთვის საინტერესოა კოსმიურ ნგრევის მთრგვნელი ხმები და მისი რიტმის მონახვა.

ასეთი გაგება არსებულ ტების თავის თავად არაფერს არ ამბობს. აქ არ არის არც მიკერძოება, არც უარყოფა: არის ფაქტის დადასტურება. ქვეყანა რომ სოციალურ რევოლიუციათა რკალში შესულ — დღეს სოციალისტი კი არა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წარმომადგენელი არ უარყოფს. მგონი შეიძლება მხოლოდ სხვაგვარად გაგება ამ რღვევას აქტივობისა.

ამონაწერებიდან ცხადი ხდება, რომ ეს იყო წინეთაც თქმული, მხოლოდ უფრო გარკვევით და ხაზ გასმით.

ინტელექტის თამაშს უფრო სხვაგან აქვს ადგილი.

ამგვარად ინტელექტუალური ორმაგობას და „ქართველობის რენეგატობის ამგავი სხვა მიზნით არის გამოჟღილი და არავითარი ადგილი არ ჰქონია არც ტიციან ტაბიძისა და არც გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ გამოსვლებში, აქ მხოლოდ მისამართია არეული.

(დასასრული შემდეგ)

შალვა აფხაიძე

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ტფილისის უბნის კომიტეტის კრება დანიშნულია დღეს საღამოს 7 საათზე. კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე ბიუროში (ოლღას ქ. № 20)

## მოწერილი ამბები

ხარაგოული.

სამი წელი შესრულდა, რაც აქ დაარსდა „სამომრიგებლო „სასამართლო, რომლის გამგეთ სამაზრო ერობის არჩევნებზე ფარული კენჭის ყრით ერთხმად იქნა არჩეული ბ. ალექსანდრე ?ურამის ძე წერეთელი, ფრიად დიდი ენერგიის პატრონი და მასთან ზედმიწევნით პატიოსანი; იგი 47 წლის ნამსახურია სახელმწიფოს სხვა და სხვა დარგში, ხოლო უკანასკნელ ხანებში ამას ეკავა მომრიგებელ შუამავლის (Мировой посредник) ადგილი.—დღიდან მის „მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა, მან დაიმსახურა უდრესი სიმპატია ხალხში; არ იყო იგი ნათელმირონობის, მამიდაბიძაშვილობის და მეგობარ-ამხანაგობის მომხრე, იგი იყო მტკიცე და შეუპოვარი თავის თანამდებობის პოზიციაზე და უმაღლეს წერტილამდე მართლმსაჯული. ამისათვის მან დიდი ნდობა მოიხვეჭა ფართო მასსაში; მაგრამ „ჭირი მართალსაო“ რომ იტყვიან ისე დაემართა მას. ამ ორი თვის წინად მიიღო მან ცნობა, რომ იგი გადაყენებულია თანამდებობიდან; ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა იგი ჩააგდო მწარე საგონებელში, ფიქრობდა და ვერ გამოარკვია თუ რა შესცოდა ღმერთს, რომ იგი ასე შეუბრალებლად და სასტიკად დასაჯეს; ეს ამბავი ხალხშიც გადავიდა საიდაც დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ და ერთხმად ნატრულობდენ მის ადგილზე დაბრუნებას.—არ გასულა ხანი, რომ ადგილობრივმა კომპარტიამ იქონია მის შესახებ მსჯელობა და ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია რათა მისთვის დაებრუნებიათ ადგილი; ასეთი რეზოლიუცია იქნა გაგზავნილი ცენტრში და როგორც კერძოთ გადმოგვიცეს ცენტრს ეს რეზოლიუცია კიდეც მიუღია და მოწერილობაც გამოუგზავნია ზესტაფონში,—ადგილის დაბრუნების შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მას ამ რეზოლიუციას არ უცხადებენ.—რა არის ამის მიზეზი ჩვენ არც ვიცით და არც შევდივართ მის განხილვაში; ხოლო ვიცით, რომ ამ უბნის თემის მცხოვრებნი უმოსამართლოდ განიცდიან დიდ გასაჭირს, მათ უხდებათ მოსვლა ხარაგოულში 25-30 ვერს. მანძილიდან და დაბრუნება უკან ცნობების და საჭირო ქაღალდების მისაღებლად... თუმცა აქ დროებით მოსამართლედ დანიშნულია მიხ. შოთაძე, მაგრამ რადგან მას ასეთი მოვალეობის ასრულება დაკისრებული აქვს ამაშუკეთში, ზესტაფონში და მასთან ერთად თავმჯდომარეობს სამაზრო ყრილობას, რა თქმა, უნდა იგი ვერ დააკმაყოფილებს ხარაგოულის ვეებერთელა უ ნის მოთხოვნილებას; ამისათვის იმედია ამას მიაქცევს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას და შესაფერ ანგარიშსაც გაუწევს.

შოლტი.

**პროფესიონალური კავშირის დაარსება**

დ. აბაშა. ივნისის 30-ს მოხდა საერთო კრება დ. აბაშის ს? სარაიონო დაწესებულებებში მოსამსახურეთა. კრებას დაესწრო სენაკის სამაზრო პროფკავშირის წარმომადგენელი ოჩიგავა. კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული ვლ. ქარჩილავა (კომუნისტი) უბნის მილიც. უფროსის თანაშემწე—და მდივნად დ. კაპარვა (კომ.) საკითხად იყო პროფკავშირის დაარსება საბჭოთა დაწესებულებაში მოსამსახურეთა სხვადასხვა პროფესიის პირთა შორის გაერთებულად. (კრებაზე მონაწილეობა არ მიუღიათ მასწავლებლებს, ექიმებს, ფარმაცევტებს, სახერხი ქარხნის მუშებს და სხვა, ვინაიდან მათ უკვე ზოგიერთებს ძველად ქონდათ პროფკავშირი ცალკე და ზ. გიერთებმა იმ დღეს დაარსეს). ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა მოქ. ოჩიგავამ მან აუხსნა მოკლედ კრებას პროფკავშირის მნიშვნელობა. მოხსენება იყო დამაკმაყოფილებელი. შემდეგ მოხსენებისა იქნა არჩეული პროფკავშირის გამგეობა სამი კაცისაგან შემდგარი. 1) ილიკო მასხულია (კომუნისტი) 2. ევგენი ჩაჩავა (სოც.- რევ.) და 3) ვასილი ცომაია (კომუნისტი). მათი კანდიდატად არჩეულ იქნა პიმენ კაპარავა (კომუნისტი). შემდეგ კრება დაიხურა, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვო ერთი გარემოება, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენს პროფესიონალურ კავშირში თუ მართლა ეს პროფესიონალური კავშირია. საქმე შემდეგშია: ამ კავშირის კრებაზე გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე არა მოსამსახურენი კომპარტიის და ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენლები მათ კიდეც თავიანთი პარტიიდან კანდიდატებიც წამოაყენეს თუმცა შემთხვევით ვერ გავიდნენ. საეჭვოა აგრეთვე, რომ მილიციის უფროსობა და რევკომის წევრობა სპეციალისტობა და პროფესია იყოს. ამ კრებაში (თუ კავშირში) გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას ესენიც იღებდენ. ჩვენთვის გაუგებარია მართლა კომუნისტური პარტიის წევრობა პროფესიად ხომ არ გამხდარა? ჩვენ ვფიქრობთ კომუნისტური პარტიის და კომკავშირის წევრობა, თუ იქ დაქირავებით ჯამაგირში მუშაობა, პარტიის საქმეა და არა სახელმწიფო და პროფკავშირთან, როგორც ასეთებს ადგილი არ უნდა ქონდეთ. სამართლიანობა მოითხოვდა, თუ ერთ პოლიტიკურ (თუ გინდ მმართველს) პარტიას აქვს ამისი უფლება, მეორე ეს და მესამესაც უნდა ქონდეს ასეთი უფლება ამ კრებაზე კომუნისტებმა სთქვეს ერთი მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატურაზე, რომ ის რაიონის კომპარტიის ორგანიზატორია და ამისთვის სახელმწიფო მოსამსახურეთ ითვლებაო. რევკომის წევრი შეიძლება იყოს დურგალი, მაგრამ მას ვერ უწოდებთ, როგორც რევკომის წევრს სპეციალისტს. ის ხვალ რევკომის წევრობას ჩამოშორდება და თავისი პროფესიას მიყოფს ხელს; ასე რომ რევკომის და მილიციის წევრობა პროფესიად არ უნდა ჩაითვალოს. პროფესიონალური კავშირის დაარსება ეს პირველი საქმეა. (მით უმეტეს ჩვენთვის, პროფესიის მოსამსახურეთათვის) ამას ყოველი ჩვენთაგანი ხელს შეუწყობს, თუ კი ის იქნება მართლა პროფესიონალური კავშირი და არა უბრალო დამატება პარტკომ—რევკომებისა. მე მინდა ამ მხრივ მივიღო ვისგანაც ჯერ არს დამაკმაყოფილებელი განმარტება. მართლა მილიციელებს, რევკომების წევრებს და პარტკოკებს პროფკავშირში აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა, როგორც რევკომის, მილიციის და პარტკომის წევრებს გადამწყვეტის ხმით და რევკომის, მილიციის და პარტკომის წევრობა ითვლება თუ არა პროფესიად? დღევანდელს ჩვენს პროფკავშირს მე ჯერ-ჯერობით არ ვიცი რა უწოდო. ვსთხოვ აგრეთვე სოც.-ფედ. პარტიის ორგანოს რედაქციას მოგვცეს ამ საკითხზე თავისი მხრივ განმარტება.

აპ. ლაბარტყავა.

## ალავერდის გაძარცვა

თელავიდან თოთხმეტი ვერსის მოშორებით აღმართულია უძველესი დიდი მონასტერი ალავერდის, რომელსაც მრავალი მტერი უნახავს თავის გარშემო, მაგრამ ვერც ერთ მტერს ვერ შეულეწნია ეს დიდი ციხე-სიმაგრე კახეთისა და მუდამ თავდადებულ ქართველებისგან მოგერებული ყოფილა ურიცხვი მტერი. ამ ისტორიულ ციხე-მონასტერში შესულან ავაზაკები ვინმე ზაუტოვის მეთაურობით და გაუძარცვიათ, წაუღიათ რაც კი ხელში მოხვედრიათ. როგორც გადმოცეს მძარცველი შეუპყრიათ და გამოძიება სწარმოებს.

ამ გაძარცვის შემდეგ ალავერდის სიმდიდრე, რაც კი დაცულ-შენახული ყოფილა, მუვალ თაღებში გადამალულ, ამოშენებულ კედლებში და სხვ. მთლად გადმოუღიათ ძვირფასი ბრილიანტები, ოქროს ჯვრები, სამკაულები თვალ-მარგალიტი. აუვსიათ ოთხი ტომარა და ჯერ თელავის ხაზინაში გადაუტანიათ შესანახად, შემდეგ ტფილისში წაუღიათ. იქნება თუ არა ეს ქართველი ერის ისტორიული განძი დაცულ-შენახული სამშობლოს საზღვრებში?

მთელი კახეთი აფორიაქებულია ამ ამბით. ქართველმა საზოგადოებრივმა აზრმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბეხხეველი მეძროხე.

## კახეთი

თელავში წასასვლელათ, რკინის გზის ბილეთი ვერ ავიღე ორ დღეს, მიუხედავად იმისა რომ ორ დღეს რიგში ვიდექი ორმოცდა ათი კაცის უკან, მაგრამ ჩემამდის რიგის მოწევას ვერ ვეღირსე, რადგან რიგს გარეშე ყველა რკინის გზის მოხელე იღებდა ? გაჰქონდათ ვისთვის, ალაჰმა უწყის. გარდა ამისა აუარებელი უცხოხი იდგნენ კახეისკენ წასასვლელათ და როდესაც ზარი დაიკრა, მიუხედავათ იმისა, რომ ასი ბილეთიც არ გაყიდულა, მატარებელი ათასობით გაივსო.

მიდის და მიეშურება ლაშაზ, გულუხვ კახეთისაკენ ზოგი საგლახოთ და სტკივრის მისატანათ, ზოგი სასპეკულიაციოთ. თელავში და მის სოფლებში მრავლად, დაგროვილან უცხო ხალხი და მედიდურად ხელ გამოწვდილნი დაიარებიან კარ და კარ. თავ შაბეზრებული ხალხი აშკარათ გრძნობს უხერხულობას ამდენ ზედმეტ მუქთა ხალხის გამოსაკვებათ დახარჯული საჭმელი ვის დააკლდება თუ არა ისევ ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებთ, მით უმეტეს რომ წელს პურის მოსავალი ძალიან მცირეა. საჭიროა მიექცეს მთავრობის ყურადღება იმ უცხო ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებას, და ამით შეამსუბუქოს როგორც სენის გავრცელება, ისე სურსათის აჩქარებით გამოელევა. თორე დღესვე ნაკლებია წლიური სარჩო და და რა იქნება შემდეგ, როცა ზედმეტი ხალხი ნებით თუ უნებლიეთ ჩამოაკლებს ლუკმას ყველა.

ალაზნელი მუშა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში № 107 ივლისის 10 ამა 1921 წ. ინტერვიუს სათაურით არის ნათქვამი, რომ ივლისის 9-ს ა. წ. თქვენს რედაქციას ეწვივნენ აჭარისტანის მეჯლისის თავმჯდომარე ხასან ლორთქიფანიძე და მეჯლისის წევრები: ზექირ აბუსერიძე და მემედ კონცელიძე. მართალია, ზემოხსენებულ ამხანაგებთან ერთად ჩავედი ქ. ტფილისში, როგორც აჭარისტანის დელეგაციის წევრი, მაგრამ ხსენებულ ივლისის 9-ს, მე თქვენს რედაქციაში არ ვყოფილვარ, გთხოვთ ეს ჩემი განცხადება მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

პატივისცემით მეჯლისის წევრი მემედ კონცელიძე.

შენიშვნა: რედაქცია აცხადებს, რომ ჩვენთან მოსულმა სამმა პირმა განაცხადეს, რომ ერთ ერთი მათგანი არის მემედ კონცელიძე. როგორც სჩანს, მემედ კონცელიძე არ ყოფილა დელეგაციის იმ სამ წევრთა რიცხში, რომელნიც ესტუმრნენ ჩვენს რედაქციას.

რედაქცია.

მოქ. რედაქტორო! [illegible] გთხოვთ [illegible] მომწყვდეულ [illegible] რელ [illegible] წირვა.

ვიზიარებ რა მწუხარებას ჭირისუფალთა, შენი კეთილი და სათნოიანი სახე აღბეჭდილია „პატარა ილიკოს“ გულის სიღრმეში.

ი. საყვარელიძე.

1921 წ. ივლ. 12. მეტეხის ციხე.

## ჩვენი ფოსტა

ამხ. ოჩხამურელს—თქვენ წერილი დაიბეჭდება. გთხოვთ დაწვრილებით მოგვაწოდოთ ცნობები აფხაზეთისა და სამურზაყანოს ცხოვრების ვითარების შესახებ.

რედაქტორი ოქროპირ [illegible].
გამომცემი ცენ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მიღებული № 30 ტროიცკის მაზრიდან. კოოპერატივის წიგნაკი გერონიმ მიხეილის ძე კუდბიჩსკის, რაც ითვლება გაუქმებულად.
1041

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხილიხი (914 ? 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიუ ხუხუნათა და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფებს მიიღებს 10—2 და 5—7 საათ. 946

ჭ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ი. ვ. აბაკელია**
შინაგანი ავადმყოფობა განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქავისა ასაკისა და გულის ავადმყოფობისა მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა. საღამოს 4 ნახ.—6 საათამდე. მამადავითის ქუჩა № 8 ბინა 5 (გოლოვინის პრ. კუთხე)
51

ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავთამყოფობას ვკურნავ „ნეიმანის და ყესსელის“ მეთოდებით. ვუძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაში“ (საქონლის იოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. [illegible] 2. 38

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი იგ. მარძ. მაჩაიძე
ადგენს მიახამზად.
**ჯგუფებს**
ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და ადგილობის მოწაფის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.
მეცადინეობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერვა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081

გამომცემლობა „სორაპანი“
უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირებს, ვისაც კი რამე ანგარიში აქვს მასთან გაასწორონ ამ თვის დამლევამდის.
გამომცემლობას იმედი აქვს არავინ არ ისარგებლებს მისი დღევანდელი მძიმე მდგომარეობით და ვისაც რამდენი შეუძლია გადიხდის თავის ვალს, ეს იქნება გამომცემლობისათვის ერთნაირი დახმარება გაჭირვების ჟამს.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: ტფილისი. მადათოვის კუნძული, ყოფილი „სორაპანის“ სტამბის პირდაპირ, სეილანოვის შენობაში მიხეილ გაჩეჩილაძეს.
1040
გამომცემლობა „სორაპანი“.

**საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის გამგეობა**
აცხადებს, რომ არტელი წინანდებურად განაგრძობს თავის მოქმედებას თანახმად თავისი წესდებისა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ ნება დართულია.
გამგეობა წევრების მიღებას განაგრძობს და აძლევს მათ ადგილებს რკინის გზაზე და სხვა დაწესებულებებში.
თხოვნები მიიღება საღამოს 6 საათიდან გამგეობის ბინაზე მორჯომის ქ. № 6

მხატვარი **კოტე ქავთარაძე**
იღებს
**სამხატვრო სამუშაოს**
საკუთარ სამხატვრო სახელოსნოში
პეტრეიდის ქუჩა № 3.
დილის 9—11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. 50